ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1006439

ნომერი: AR1177780

თარიღი : 15.11.2013

გაცემის თარიღი : 21.11.2013

გაცნობის თარიღი : 01.12.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კანდელაკი , N 27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ ლატარია პ/ნ 01024007767
- თბილისი ს.კანდელაკის ქ. N 27

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. წარმოდგენილი უნდა იყოს შედარებით შორი მანძილიდან გადაღებული, მეტად ნათელი (ამ ეტაპზე წარმოდგენილი ფოტოები საკმაოდ ბუნდოვანია) ფოტოსურათები, რამოდენიმე ხედის ფიქსაციით და მათ საფუძველზე დამუშავებული საპროექტო ფოტომონტაჟი, დეტალურად ზომებისა და მასალის დატანით. აქვე გაითვალისწინეთ, რომ შესაბამისი ნორმების დაცვის მიზნით, სავენტილაციო მილი უნდა ასცდეს შენობის სახურავს, რაც შესაბამისი სახით უნდა იქნას ასახული მონტაჟზე.

2. წარმოდგენილი უნდა იყოს ცნობა საჯარო რეესტრიდან სახლთმფლობელობის ყველა თანამესაკუთრის შესახებ და ყველა მესაკუთრის თანხმობა (დამოწმებული შესაბამისი ფორმით), სავენტილაციო მილის მოწყობასთან დაკავშირებით.

3. "მოთხოვნის ტექსტი"–ს გრაფაში დაკონკრეტდეს საპროექტო მილი განკუთვნილია თუ არა მხოლოდ II სართულზე განლაგებული ფართისათვის, თუ მას კავშირი აქვს I სართულთანაც და ასეთის შემთხვევაში უნდა დააკონკრეტოთ ის გარემოებაც, რომ I სართულზე არსებული ფართიც თქვენს საკუთრებაში ირიცხება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.